

ბინაზე და კოვიდ-სასტუმროში მეთვალყურეობაზე მყოფი COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის ლაბორატორიული და/ან ინსტრუმენტული კვლევების ჩატარების წესი

1. ბინაზე ან საკარანტინე სივრცეში (შემდგომში - კოვიდ-სასტუმრო) მყოფი COVID-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ბენეფიციარებს საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ კლინიკის, ასევე სადაზღვევო კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სამედიცინო დაწესებულების (შემდგომში - ოჯახის ექიმის/კოვიდ-სასტუმროს ექიმის/ცენტრალური ონლაინ კლინიკის ექიმის მიმართვის საფუძველზე, შესაძლოა ჩაუტარდეთ გარკვეული ლაბორატორიული და/ან ინსტრუმენტული კვლევები (შემდგომში - კვლევები) COVID-19-ის კლინიკური მართვის პროტოკოლების შესაბამისად.
2. ბინაზე ან კოვიდ სასტუმროში მყოფი COVID-19-ის დადასტურებული დიაგნოზის მქონე ორსულ ბენეფიციარებს საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის ექიმის/კოვიდ-სასტუმროს ექიმის/ცენტრალური ონლაინ კლინიკის ექიმის მიმართვის საფუძველზე, შესაძლოა ჩაუტარდეთ გარკვეული კვლევები და მეან-გინეკოლოგის კონსულტაცია.
3. სამედიცინო დაწესებულებების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს პირველი პუნქტით განსაზღვრული კვლევები, განისაზღვრება N2 დანართის შესაბამისად. ამასთან, მე-2 პუნქტით განსაზღვრული ორსულების მომსახურება განხორციელდება „ანტენატალური და პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/5 ბრძანების შესაბამისად, სპეციალიზებული (III დონის) მოვლის, აგრეთვე II-III დონის პერინატალურ დაწესებულებებში.
4. კვლევების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ოჯახის ექიმი/კოვიდ-სასტუმროს ექიმი/ცენტრალური ონლაინ კლინიკის ექიმი:

ა) ავსებს მიმართვის ფორმას N3 დანართის მიხედვით, რომელიც მოიცავს პაციენტის სახელს, გვარს, პირად ნომერს, ტელეფონის ნომერს, ფაქტობრივ მისამართს, დანიშნულ კვლევებს და ორსულობის შემთხვევაში, ორსულობის ვადას;

ბ) უკავშირდება სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო პირს და ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადასცემს შევსებულ მიმართვის ფორმას;

გ) ათანხმებს სამედიცინო დაწესებულებასთან პაციენტის ტრანსპორტირების ფორმას (თვითდინებით, ტრანსპორტით ან ლაბორატორიულ მომსახურებას ბინაზე).

დ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით, სამედიცინო დაწესებულების შერჩევისას, ხელმძღვანელობს უპირატესად გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით.

***შენიშვნა:** ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ტრანსპორტირება“ გულისხმობს, პაციენტის ბინიდან/კოვიდ სასტუმროდან სამედიცინო დაწესებულებაში და უკან, ბინაზე/კოვიდ სასტუმროში დაბრუნებას თვითდინებით, სამედიცინო დაწესებულების ტრანსპორტით/მუნიციპალიტეტის ტრანსპორტით, ან სამედიცინო დაწესებულების მიერ ლაბორატორიული ანალიზის ამღები პირის გაგზავნას პაციენტთან ბინაზე ან კოვიდ სასტუმროში. ამასთან, სამედიცინო დაწესებულების მიერ ტრანსპორტირების საკითხი უნდა შეთანხმდეს ცენტრალურ ონლაინ კლინიკასთან.*

5. სამედიცინო დაწესებულება:

ა) ოჯახის ექიმის/კოვიდ-სასტუმროს ექიმის/ცენტრალური ონლაინ კლინიკის ექიმის მიმართვის საფუძველზე გეგმავს პაციენტის ვიზიტის და ტრანსპორტირების დროს, არაუგვიანეს მიმართვიდან ორი დღისა;

ბ) უზრუნველყოფს პაციენტის კვლევის შედეგების შესახებ ოჯახის ექიმის/კოვიდ სასტუმროს ექიმის/ცენტრალური ონლაინ კლინიკის ექიმის დაუყოვნებლივ ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

6. ამ დანართით გათვალისწინებული კვლევების, ასევე, სამედიცინო დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტის შემთხვევაში, ტრანსპორტირების დაფინანსება განხორციელდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

7. მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილი ტრანსპორტის/თვითდინების შემთხვევაში, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯი არ აისახება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ ხარჯში.